



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1005
23/05/2018

ქალაქი ბათუმი

1005-05-4-201805231559



ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.32.07.839) 150,57 კვ.მ მიწის ნაკვეთის სერვიტუტის ფორმით დატვირთვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, მოქალაქე ნანული კონცელიძის 2018 წლის 26 მარტის №4895/05 განცხადების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 აპრილის №33 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 8 მაისის №1329-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მოქალაქე ნანული კონცელიძის სასარგებლოდ სერვიტუტის ფორმით დაიტვირთოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.07.839) ნაწილი, კერძოდ 150,57 კვ.მ, ორი წლის ვადით.

2. მერიის იურიდიული სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (გიორგი ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს მოქალაქე ნანული კონცელიძესთან ხელშეკრულება, ხოლო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა